



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #231

05 თებერვალი 2019 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ ნაწილის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე-გ“ და „ე-დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის #669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტისა და 34-ე მუხლის შესაბამისად, ასევე, “ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 14 იანვრის #29 ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2019 წლის 4 თებერვლის ოქმი #2 გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმა, დანართი #1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან-ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე

დანართი #1

#	საპროექტო ობიექტის დასახელება / დანიშნულება	ფუნქციური ზონები	საკადასტრო კოდი	მისამართი	მიწის ნაკვეთის /შენობის ფართობი კვ.მ.	აუდიტის მიერ განსაზღვრული საწყისი საპროექტო საფასური (ლარი)	30%, ზე-ს ოდენობა (ლარი)	5%, ბიჯი-ს ოდენობა (ლარი)	აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)	შემინილი ქონების სრული ღირებულების გადახდის პერიოდი	შენიშვნა
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სზ-5 (საპროექტო)	02.03.04.690	ქალაქი რუსთავი, ლომოურის ქუჩის მიმდებარე ტერიტორია	1000	58 500	17 550	2 925	<p>1. საკუთრების მოწმობის გაცემიდან 3 (სამი) წლის ვადაში 300 000 (სამასი ათასი) ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება და აღნიშნული დაადასტუროს აკრედიტებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენით.</p> <p>2. საკუთრების მოწმობის გაცემიდან 3 (სამი) წლის ვადაში მშენებლობის განხორციელება</p> <p>3. აუქციონის ჩატარებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში წარმოადგინოს საინვესტიციო ვალდებულების 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა არანაკლებ 4 (ოთხი) თვით უნდა აღმატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების ვადას.</p>	<p>ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში</p>	<p>საჭიროების შემთხვევაში, შესყიდულ მიწის ნაკვეთზე (როგორც მიწის ქვეშ, ასევე მიწის ზემოდან) ხაზოვანი კომუნიკაციის არსებობის შემთხვევაში მყიდველი საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მათ გადატანას</p>